ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი წერილების (#10/17623 04.10.16წ. და 10/18165 20.10.16წ.) და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ამომრჩეველთან გაწეული მუშაობის შესახებ.

ამასთანავე წარმოგიდგენთ მე-5 მოწვევის საკრებულოს მუშაობის შედეგებს 2014-2016წწ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ფავლენიშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია რაოდენობა 14 ფურცელი
№10/17623 24.10.16

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ფავლენიშვილის ანგარიში (2014-2016 წწ)

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2016 წელს დაამტკიცა ჯანმრთელობის დაცვის 10 და სოციალურ საკითხთა 24 ქვეპროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 202 630 400 ლარს.

1. სასწრაფო სამედიცინო დახმარება- ბიუჯეტი შეადგენს 30 500 000 ლარს.

2013 წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 5 000 000 ლარით.

2014-2016 წლებში განხორციელდა დამატებით 1 (ერთი) ფილიალის (თბილისის ზღვა) და 2 (ორი) ქვეფილიალის გახსნა (ფონიჭალა,დაბა კოჯორი), შეძენილ იქნა 13 ერთეული სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც დაკომპლექტებული და აღჭურვილია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებით გადამზადდა ცენტრის 358 თანამშრომელი. გაიზარდა ცენტრის უფროსი მედდების (750 ლარი-850 ლარი) და მედდების (625 ლარი-750 ლარი) შრომის ანაზღაურება.

სსიპ- 112- თან კოორდინაციით, სადისპეჩეროსა და სამედიცინო ბრიგადებს შორის კავშირის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა, და მოძიებულ იქნა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც დაინერგა 2016 წლის პირველ ნახევარში.

2015 წელს შესრულდა 600 000-მდე გამოძახება და განხორციელდა 150 000-მდე ჰოსპიტალიზაცია

წარმოგიდგენთ ჯანმრთელობის დაცვის საპილოტე პროგრამებს, რომლებიც განხორციელდა 2014-2016 წლებში:

2. ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია- 2016 წლის ბიუჯეტი 2 900 000 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

1. ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები;
2. ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია). მათ შორის, პაციენტის კონდიცირება–ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე:

3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 40 წლამდე ასაკის, ძვლის

ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეები რომელთაც დასმული აქვთ შემდეგი დიაგნოზი(ები):

ა) მწვავე ლეიკემია;

ბ) მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია;
გ) მწვავე მიელოიდური ლეიკემია;
დ) ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია;
ე) იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია;
ვ) არა-ჰოჯკინის ლიმფომა;
ზ) ჰოჯკინის ლიმფომა;
თ) მიელოდისპლაზიური სინდრომი;
ი) აპლასტიური ანემია;
კ) ჰისტიოციტოზი;

ლ) თალასემია

პროგრამით ისარგებლა 41 ბენეფიციარმა. (2015 წელი 11 ბენეფიციარი, 2016 წელი 30 ბენეფიციარი)

3. „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა- 2016 წლის ბიუჯეტი 800 000 ლარი

ქვეპროგრამით მოსარგებლე:

მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის კომპონენტის გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები რომლებიც ჩართული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში".

მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მკურნალობის მონიტორინგის კურსის დაიწყეს 2015 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და ჩართული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში".

მომსახურების ფინანსური მოცულობა

მომსახურება მოსარგებლეებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 მუნიციპალიტეტი აფინანსებს ღირებულების 70%-ით, ხოლო 30%-ით აფინანსებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ყველა

- სხვა ბენეფიციარს მერია აფინანსებს 30%-ით, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო 60%-ით.

2015-2016 წლებში მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევები ჩაიტარა 13 531 ბენეფიციარმა, (მათ შორის 2016 წელს 8034 ბენეფიციარი) დამატებით, 2016 წელს მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევები ჩაიტარა 668 ბენეფიციარმა.

4. უტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია- 2016 წლის ბიუჯეტი 1 820 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0- F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც:

2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებული ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი.

მომსახურების ფინანსური მოცულობა

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კომპლექსური თერაპიის 20 (მინიმუმ ერთსაათიანი) ინდივიდუალური სეანსი. ინდივიდუალური სეანსის ღირებულება შეადგენს 21 ლარს. ხოლო თვის ვაუჩერის ღირებულება შეადგენს 420 ლარს.

აღნიშნული პროგრამის ადმინისტრირება დაიწყო 2015 წელს და 2016 წლის ჩათვლით, სხვადასხვა თერაპიული სეანსებით ისარგებლა 800-მდე ბენეფიციარმა.

5. ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსება- 2016 წლის ბიუჯეტი 3 020 000 ლარი.

ქვეპროგრამის მოსარგებლე:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან პირები, რომლებსაც აქვთ პირველადი ლოკალიზაციის HER-2 დადებითი ძუძუს ადრეული სტადიის (I-III სტადია) კიბოს დიაგნოზი და ესაჭიროებათ ნეოადიუვანტური (ოპერაციამდე)/ ადიუვანტური (ოპერაციის შემდგომ) ტარგეტული თერაპია.

ამავე დროს, მოსარგებლეები უნდა იყვნენ:

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

ქვეპროგრამა მოიცავს:

ქვეპროგრამა გულისხმობს ქვეპროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის 1 წლიანი კურსისთვის საჭირო რაოდენობის მედიკამენტის-„ჰერცეპტინი" (საერთაშორისო დასახელება – ტრასტუზუმაბი, დოზა – 440მგ + 20მლ გამხსნელი (საინექციო წყალი) მინის ფლაკონი №1) დაფინანსების უზრუნველყოფას.

მომსახურების ფინანსური მოცულობა

150 000 ქული მქონე ბენეფიციარს მედიკამენტი უფინანსდება 100%-ით, ყველა სხვა ბენეფიციარს მედიკამენტის ღირებულების 80%.

2016 წელს პროგრამით ისარგებლა 72 ბენეფიციარმა.

6. ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპია- 2016 წლის ბიუჯეტი 500 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეებს წარმოადგენენ პირები, რომლებსაც ამავე პროგრამის ფარგლებში ჩაუტარდათ სკრინინგი და ამასთან, „დაავადებათა სკრინინგის" ქვეპროგრამით დამტკიცებული „სქოლიოზის სკრინინგით" გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.

ქვეპროგრამა მოიცავს:

ხერხემლის გადახრის 10°-45° კუთხის არსებობის შემთხვევაში აღდგენით თერაპიას:

სამკურნალო მასაჟი;

სამკურნალო ვარჯიში;

ფიზიოთერაპია.

მომსახურების ფინანსური მოცულობა

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ერთი მოსარგებლისათვის წელიწადში ერთხელ, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 244 ლარისა (ერთი კურსის ღირებულება):

2016 წელს, პროგრამის ფარგლებში 20 277 ბენეფიციარმა ჩაიტარა სკრინინგი, ხოლო 1824 ბენეფიციარმა ჩაიტარა აღდგენითი თერაპიის კურსი.

7. ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება- 2016 წლის ბიუჯეტი 250 000 ლრი ქვეპროგრამით მოიცავს:

1. ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენციას (8 კვირამდე) ბავშვებსა და მოზარდებში.

2. აქტიურ (ასერტული) ფსიქიატრიულ მკურნალობას.

ქვეპროგრამით მოსარგებლე

- ქვეპროგრამის კომპონენტის „ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია (8 კვირამდე) ბავშვებსა და მოზარდებში“ მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F06; F20-F25; F31–F33; F40–F45; F90–F95; F98) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 5-15 წლის ასაკის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები.

- ქვეპროგრამის კომპონენტის „აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა“ მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F06.0; F06.2; F20-F21; F25; F31; F33) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები.

2016 წლის მონაცემებით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომსახურება გაეწია 75 ბენეფიციარს, აღნიშნულ ბენეფიციარებთან განხორციელდა 2649 ვიზიტი.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ სოციალური დაცვის ბიუჯეტი 2013 წელთან შედარებით გაზრდილია 22 000 000 ლარით და 2016 წელს შეადგენს 161 000 000 ლარს, აღნიშნული თანხით გარდა საპილოტე პროგრამებისა, გაორმაგდა ან/და გაიზარდა ქვეპროგრამების მომსახურების ფინანსური მოცულობა, კერძოდ:

1. სოციალური მომსახურების საპილოტე პროგრამები:

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება. 2016 წლის ბიუჯეტი- 700 000 ლარი.

ქვეპროგრამა მოიცავს 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას. ფინანსური დახმარების ოდენობა შეადგენს 800 ლარს წელიწადში და გაიცემა ორჯერადად 400–400 ლარის ოდენობით (მაისი-დეკემბერი).

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქ. თბილისში 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 9099 შშმპ-მა (2015 წელს 1006 შშმპ, 2016 წელს 8093 შშმპ).

2. „ვოლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება. 2016 წლის ბიუჯეტი 75800ლარი.

ქვეპროგრამა მოიცავს დღის განმავლობაში 2 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებისთვის დღის ცენტრით მომსახურების შეთავაზებას. პროექტის ფარგლებში არსებული დასაქმების სამსახურის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა ტიპის მომსახურებით, როგორიცაა პროფესიული ტექნიკური მომზადება–გადამზადება, დასაქმება, ბიზნესკონსულტაცია/ტრეინინგები და ა. შ. სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედებისა და ორსულების საინფორმაციო–საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს მათი ცნობიერების ამაღლებას დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების 6 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვები.

აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 1200 ბენეფიციარმა (2015 წელს -600, 2016 წელს 600 ბენეფიციარი).

3. სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება. 2016 წლის ბიუჯეტი 400 000ლარი.

ქვეპროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ახალშობილის შეძენის შემთხვევაში მატერიალურ დახმარების გაწევას. ფულადი დახმარების ოდენობა შეადგენს 500 ლარს, ერთჯერადად.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ქ. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებსაც ახალშობილის დაბადებისას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვთ 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულა.

აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 1636 ბენეფიციარმა (2015წ - 880, 2016წ- 756 ბენეფიციარი)

4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. 2016 წლის ბიუჯეტი 290 000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებას.

- სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
- კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა;
- სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა;

- ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან შშმ პირები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შშმ პირთა სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობა და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების დაფინანსება. საქართველოს ყრუთა კავშირის, შშმ პირთა დღის ცენტრების დაფინანსება, საქართველოს უსინათლოთა კავშირისთვის გამცილებლის მომსახურებისათვის ხელფასის გაცემა.

ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსება 2014 – 2016 წლებში გაორმაგდა:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება- 2014 წლიდან მატერიალური დახმარების სახით აღნიშნული ბენეფიციარებისათვის გამოყოფილია თვეში 50 ლარი.

2013 წლის მაჩვენებელი 25 ლარი.

2016 წლის ბიუჯეტი შეადგენს 7 000 000 ლარს, 9 თვის შესრულების მიხედვით დახმარება გაეწია 3665 ოჯახს.

5. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ,,ახალშობილთა მატერიალური დახმარება"- 2014 წლიდან მატერიალური დახმარების სახით აღნიშნული ბენეფიციარებისათვის გამოყოფილია მე-3 ახალშობილზე 800 ლარი, მე-4 ახალშობილზე 1000 ლარი და მე-5 და მეტი ახალშობილის შემენაზე 1500 ლარი.

2013 წლის მონაცემებით: მე-3 ახალშობილი 600 ლარი, მე-4 ახალშობილზე 800, მე-5 და მეტ ახალშობილზე 1000 ლარი.
2016 წლის ბიუჯეტი შეადგენს 310 000 ლარს, 9 თვის მონაცემებით დახმარება გაეწია 307 ოჯახს:

- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები
  პროგრამა ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სამედიცინო და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსებას.
  პროგრამით მოსარგებლეები (პრიორიტეტების მიხედვით) არიან:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000-100 000-ს;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 100 000 -დან 200 001-ს;
- მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი პირები და მათი ოჯახის წევრები;
- ვეტერანი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში;
- მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი;
- დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების ან ქალაქ თბილისზე მზრუნველის სტატუსის მატარებელი პირი;
- სხვა პირები, რომლებიც საკუთარი განცხადების საფუძველზე, მატერიალური მდგომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას;

დაავადების კლასი	სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებლი მოთხოვნების რაოდენობა	კომისიის გადაწყვეტილება
ინფექციური დაავადებები	310	200,622
სიმსივნეები	4,415	4,206,729
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	1,122	785,205
ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	1,612	292,160
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	631	203,776
ნერვული სისტემის დაავადებები	1,890	793,630
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	1,767	579,187
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	9,967	3,112,385
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	1,427	436,326
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	1,155	741,963
ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	2,870	1,795,019
შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	1,534	609,199
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	152	49,685
ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები	14	8,430
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	402	283,859
განვითარების ეტაპების დაყოვნება	838	257,979
დაზიანებები (ტრავმები, მოწამვლები)	352	405,114
ყველა სხვა დაავადება	981	339,626
სულ	31,439	15,100,893

2013 წელთან შედარებით სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები გაზრდილია 12 000 000 ლარით და 2016 წლის ბიუჯეტი შეადგენს 17 000 000 ლარს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2016 წელს ჩაატარა 18 კომისიის სხდომა.

სულ შესწავლილი იქნა 23 საკითხი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში სულ შემოვიდა 546 კორესპოდენცია. მათ შორის:

- დაკმაყოფილდა - 225 კორესპოდენცია;
- დაპირება მივიღეთ - 89 კორესპოდენციაზე;
- უარის პასუხი მივიღეთ - 127 კორესპოდენციაზე; (ძირითადად უარის პასუხი არის კერძო იპოთეკარებით დაზარალებული მოქალაქეების ფართით უზრუნველყოფაზე, რადგან მსგავსი პროგრამა მუნიციპალიტეტს არ აქვს)
- ერთობლივი კორესპოდენცია - 32;
- მოქალაქესგადაეგზავნა -45 კორესპოდენცია;
- პასუხის მოლოდინის რეჟიმშია - 93 კორესპოდენცია;
- ცნობად მივიღეთ - 12 კორესპოდენცია;

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომსიის თავმჯდომარემ ინიცირება და ორგანიზება გაუწია ცნობილი ქართველი ექიმის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ბენედიქტე მაღლაკელიძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს - 22.05.2016

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ორგანიზება გაუწია საქველმოქმედო აქციას, რომლის ფარგლებშიც, 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს გადაეცათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა - 12.02.16წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის 2015 წლის მუშაობის ანგარიშის მოსმენას დაესწრო. დედაქალაქის მერიაში გამართულ პრეზენტაციას თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი უძღვებოდა, რომელმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ანგარიში წარადგინა; - 02.02.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო პროექტს „უკრაინული გაზაფხული კიევის ქუჩაზე" . 23 04.2016წ.

- დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ფავლენიშვილის და ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის ნინო გოგუაძის ინიციატივით,

წარმომადგენლობით ორგანოში შეხვედრა გაიმართა, სადაც ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პროგრამის დახვეწისა და უცხოური მოდელის დანერგვის თაობაზე იმსჯლეს.

შეხვედრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა რომელსაც ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი, სპორტისა და ახალგაზდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ჯოხაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარე ნინო გოგუაძე და ბავშვთა ადრეული ინტერვენციის კოალიციის თავმჯდომარე მაია გაბუნია, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო"-ს წარმომადგენლები ირმა ხაბაზი და ანა ლაღიძე, ასევე ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პედიატრიის პროფესორი ტობი ლონგი.

მხარეებმა ადრეული ინტერვენციის პროგრამის მნიშვნელობისა და მისი მუშაობის მექანიზმების თაობაზე უცხოური გამოცდილების გაზიარებისა და პროგრამის დახვეწის საკითხები განიხილეს, რომელთა თანახმადაც, პროგრამის ბენეფიციართა ასაკი პრობლემის დროულად მოგვარების მიზნით, არა 0-7, არამედ 0-3 წლამდე უნდა განისაზღვროს. – 10.03.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის განახლებული ნეონატოლოგიური განყოფილების გახსნას; - 14.05.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო ევროპის თმის კვლევის საზოგადოების მე-17 კონგრესს; - 24.06.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო მსოფლიო საოჯახო კონგრესს X - ცივილიზაციის გზაჯვარედინზე: ოჯახი თავისუფლებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ბასტიონი; 16.05.2016 – 17.05.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე ყოველწლიური სესიის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ მიღებას; - 01.07.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალს; - 17.09.2016წ., 20.09.2016წ., 21.09.2016წ., 23.09.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო შშმ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას „გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრში" - 26.04.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ IV ყრილობას; 14.05.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი მიწვეული იყო პოლონეთის ქალაქ კრინიცაში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე, სიტყვით წარსდგა ჯანმრთელობის დაცვის ფორუმის სადისკუსიო პანელზე თემით „დამსაქმებლის როლი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში“06.09.2016 – 08.09.2016წ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას და საქართველოში მოქმედ თორმეტ მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა; - 20.10.2016წ.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი ფავლენიშვილი არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.
2016 წლის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ჩაატარა 13 კომისიის სხდომა და შეისწავლა 125 საკითხი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 24 სხდომა, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო 22 სხდომას.

მოქალაქეთა მიღებაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მიიღო - 64 მოქალაქე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს ბიუჯეტი 2013-2016წწ